

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია - საყდრისი-ყაჩაღიანში სამთო სამუშაოების წარმოება დაუშვებელია

გვსურს გამოვხიზმუროთ, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტთან დაკავშირებით ბოლო დროს მედია სამუალებებსა და სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე ადგილი აქვს სხვადასხვა სახის სამუშაოებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მიმდინარე წლის 13 მარტს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული იქნა #01/01-1227 გადაწყვეტილება, შპს „RMG Gold“-ისთვის საყვრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე სამთო სამუშაოების განახორციელების მიზნით დადებითი დასკვნის გაცემის თაობაზე.

საიას ხელთ არსებული დადასტურებული ინფორმაციით, სამინისტროს 13 მარტის გადაწყვეტილება 2014 წლის 11 აპრილს ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა საქართველოს მთავრობაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან ჩერდება. კანონი ასევე ადგენს, რომ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს

დღეის მდგომარეობით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2014 წლის 13 მარტს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც „RMG Gold“-მა საყვრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე სამთო სამუშაოების განახორციელების მიზნით დადებითი დასკვნა მიიღო კანონის თანახმად შეჩერებულია. შესაბამისად, საყვრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე, სამთო სამუშაოების განახორციელების მიზნით სამუშაოების წარმოება დაუშვებელია.

ამასთან, მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, რომ პროაქტიულად, ოფიციალურ ვებგვერდზე უზრუნველყოს იმ სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება რომლის საფუძველზეც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 13 მარტის #01/01-1227 გადაწყვეტილების მოქმედება შეჩერდა.